

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას გიორგი მარგველაშვილს აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ილჰამ ალიევი ულოცავს.

"ნება მომეცით მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე თქვენი არჩევა.

სასიამოვნოა, როცა ვხედავთ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ღრმა და კეთილმეზობლური ურთიერთობების გაფართოებას, რომელიც ყალიბდებოდა ისტორიულად, ისევე, როგორც ყოვლისმომცველი ეკონომიკური თანამშრომლობა.

სამშაბათი, 29 ოქტომბერი 2013 20:27

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენ ქვეყნებს შორის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა და მრავალწახნაგოვანი თანამშრომლობა შემდგომშიც განვითარდება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების კეთილდღეობისათვის, რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და პროგრესისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს თქვენს სახელმწიფო მოღვაწეობაში," - ნათქვამია ილჰამ ალიევის წერილში.

2 / 2